საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ვ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.10.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 088/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ბ.-ის /სიითი / მიმართ

წარმომადგენელი: ადვოკატი თ. გ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 16 ოქტომბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ვ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. გ. ვ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის, ონლაინ ფორმატით, 2023 წლის 6 ნოემბერს გამართულ სხდომას, სადაც წარმოადგინა ზეპირი განმარტება და მხარი დაუჭირა წერილობით საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ ი. ბ.-ს რამდენჯერმე მიმართა საადვოკატო მომსახურების მისაღებად. მომჩივანის განცხადებით, ადვოკატი ი. ბ., ადვოკატ ი. ჯ.-სთან ერთად, იცავდა მისი და მისი დის - დ. ვ.-ის ინტერესებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. 19.07.2022 წლის წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატები წარმოადგენდნენ დ. და გ. ვ.-ების ინტერესებს მათი დის - ქ. ვ.-ის მიმართ არსებულ კონფლიქტშიც, სადაც ადვოკატების ვალდებულებას წარმოადგენდა შეთანხმების აქტის მომზადება საერთო საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებით სარგებლობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში იყო მომსახურების შესრულების ვადით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 11.07.2023 წელს, ის ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა ადვოკატ ი. ბ.-ს, ხოლო მომდევნო დღეს შეხვდა მის საადვოკატო ოფისში, სადაც ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სურდა ქ. ვ.-სთან 2022 წელს დადებული შეთანხმების აქტის განახლება, რის შემდეგაც ისინი შეთანხმდნენ ჰონორარზე. 17.07.2023 წელს, გ. ვ.-მ დაურეკა ადვოკატ ი. ბ.-ს და შეახსენა, რომ ის იყო მხოლოდ მისი წარმომადგენელი და მხოლოდ მისი ინტერესები უნდა დაეცვა. გ. ვ.-ის განმარტებით, 21.07.2023 წელს, ელ. ფოსტაზე მიიღო შეტყობინება ქ. ვ.-ისაგან, შეტყობინებას ერთვოდა ადვოკატ ი. ბ.-ის მიერ ქ. ვ.-ისათვის გაგზავნილი განცხადება, სადაც ადვოკატი უთითებდა, რომ ის იყო გ. და დ. ვ.-ების წარმომადგენელი. გ. ვ.-ის განმარტებით, ადვოკატს მისთვის არ უცნობებია, რომ ის იცავდა დ. ვ.-ის ინტერესებსაც. საჩივრის ავტორის განმარტებით, ქ. ვ.-ის წერილიდან შეიტყო, რომ ადვოკატი ი. ბ. იყო ქ. ვ.-ის კოლეგა - მედიატორი, რაზეც ადვოკატს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, გ. ვ.-მ შეწყვიტა ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა ი. ბ.-სთან და გაუუქმა მას სამემკვიდრეო დავაზე გაცემული მინდობილობა. მომჩივანის განმარტებით, ქ. ვ.-თან არსებულ დავაზე ადვოკატ ი. ბ.-ისათვის მინდობილობა არ გაუფორმებია არც 2022 წელს და არც 2023 წელს, ვინაიდან არც აღნიშნული აქტის საჭიროებაზე იყო ინფორმირებული ადვოკატის მხრიდან.

1.4 2023 წლის 6 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. ვ. არ დაეთანხმა ადვოკატ ი. ბ.-ის შუამდგომლობებს და განმარტა, რომ დ. ვ.-ის საჩივარი წარმოადგენდა სრულიად განსხვავებულ საქმეს და წინააღმდეგი იყო საქმეთა გაერთიანების. გ. ვ.-მ 2023 წლის 9 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები და შუამდგომლობა, დისციპლინურ საქმეზე დამატებითი დოკუმენტების დართვის შესახებ, ასევე, შუამდგომლობა - ეთიკის კომისიას ადვოკატ ი. ბ.-ისათვის დაევალებინა, ადვოკატის ოფისში გ. ვ.-ის ვიზიტების შესახებ ვიდეო მასალის, სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე მათი მიმოწერისა და ქ. ვ.-სთან ჩატარებული მედიაციის ცნობის წარმოდგენა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 27 ოქტომბერს ადვოკატმა ი. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ გ. ვ.-ის საჩივარში მითითებული გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს, საჩივარი არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი ი. ბ., წარმომადგენელთან - ადვოკატ თ. გ.-სთან ერთად დაესწრო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 16 ნოემბრის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ი. ბ.-ის განმარტებით, 2022 წლის ივლისის თვეში გ. და დ. ვ.-ებმა მასსა და ადვოკატ ი. ჯ.-ს სთხოვეს მათი და მათი მესამე დის - ქ. ვ.-ის საერთო საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობასთან დაკავშირებით გრაფიკის და შეთანხმების აქტის შედგენაში დახმარება. ამასთან, ადვოკატებს სამოქალაქო სარჩელით უნდა მიემართათ თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის. მანამდე, ადვოკატები აწარმოებდნენ გ. და დ. ვ.-ების დედასთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რაც გათვალისწინებული იყო მათ შორის 2022 წლის 29 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით. ადვოკატის განმარტებით, მხარეებს შორის, 2022 წლის 19 ივლისს გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომელსაც ხელი ორივე დამ მოაწერა. ხელშეკრულების საგანს (მუხლი N1) წარმოადგენდა დ. და გ. ვ.-ების წარმომადგენლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და შეთანხმების აქტის მომზადება საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით სარგებლობაზე. ხელშეკრულების 4.1 მუხლის მიხედვით: „ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს N1 მუხლში გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადით“. ადვოკატის განცხადებით, გ. და დ. ვ.-ები წინასწარ შეუთანხმდნენ მას, რომ 1 წლის ვადის გასვლის შემდეგ ადვოკატს კვლავ შეედგინა შეთანხმების აქტი. ადვოკატის განმარტებით, დები ვ.-ები ხშირად და აქტიურად უკავშირდებოდნენ მას დღის და ღამის სხვადასხვა მონაკვეთში, რა დროსაც ისინი ხშირ შემთხვევაში ერთდროულად ესაუბრებოდნენ. ადვოკატის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება ფაქტი, რომ გ. ვ.-ს მისთვის მინდობილობა არ გაუფორმებია. მას გ. და დ. ვ.-ებმა 2022 წლის 5 აპრილს გაუფორმეს მინდობილობები, რომლებიც ძალაში იყო 2025 წლამდე და ითვალისწინებდა კლიენტების სახელით ყველა ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობისა და მოლაპარაკებების წარმოების უფლებამოსილებებს. ადვოკატის განმარტებით, მან 2022 წელს შეადგინა მორიგების აქტის ტექსტი, რომელიც მხარეთა სურვილით რამდენჯერმე შეიცვალა და საბოლოოდ, მხარეებმა მას ხელი 2022 წლის აგვისტოს თვეში მოაწერეს. შეთანხმების აქტის მიხედვით „...შეთანხმების აქტი ძალაშია დანართი 1 გათვალისწინებული გრაფიკის ვადით.“ შეთანხმების აქტი გაფორმდა 1 წლის ვადით. მხარეთა შეთანხმებით, თუ მხარეები ვადის გასვლამდე, ერთი თვით არ შეთანხმდებოდნენ განსხვავებულ წესზე, შეთანხმება გაგრძელებულად ჩაითვლებოდა. ადვოკატის განცხადებით, 2022 წლიდან 2023 წლის ივლისამდე გ. და დ. ვ.-ებმა არაერთხელ მიმართეს ადვოკატს მორიგების აქტის პირობების ცვლილებასა თუ სხვა სამართლებრივ საკითხებზე.

2.3 ადვოკატმა დაადასტურა, რომ 2023 წლის ივლისს გ. ვ. ესაუბრა მორიგების აქტის პირობების ცვლილებებზე და მიაწოდა ინფორმაცია, რომ მასსა და დ. ვ.-ს სურდათ მათი წარმომადგენელი ყოფილიყო მხოლოდ ადვოკატი ი. ბ. და არ სურდათ მორიგების პირობების ცვლილებებზე ემუშავა ადვოკატ ი. ჯ.-ს. გ. ვ.-მ ადვოკატს სთხოვა, ჰონორარის გადარიცხვის თარიღად ისეთი დრო აერჩიათ, რაც მისაღები იქნებოდა დ. ვ.-ისთვისაც, რასაც ადვოკატი დათანხმდა. ადვოკატის განმარტებით, გ. ვ.-ს მისთვის არ შეუტყობინებია, რომ არ სურდა ადვოკატი ყოფილიყო დ. ვ.-ის წარმომადგენელი. ადვოკატი განმარტავს, რომ გ. ვ.-ისგან ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ის იძულებული იქნებოდა უარი ეთქვა ორივე დის წარმომადგენლობაზე. ადვოკატის განცხადებით, მან შეთანხმებისამებრ გაუგზავნა შეცვლილი მორიგების პირობები ელ. ფოსტის საშუალებით ქ. ვ.-მ, რომელთანაც საუბარს, გ. ვ. თავდაპირველად ჩვეულებრივად

აგრძელებდა, თუმცა მოგვიანებით მან პრეტენზია გამოთქვა, თითქოს ადვოკატი ი. ბ. არ იყო დ. ვ.-ის ადვოკატი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

2.4 ადვოკატმა ი. ბ.-მ განმარტა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება, თითქოს გ. ვ. არ ფლობდა ინფორმაციას, რომ ი. ბ. იყო მედიატორიც. გ. ვ.-ს ძალიან უხაროდა აღნიშნული ფაქტი და გამოთქვამდა იმედს, რომ ქ. ვ.-სთან კონფლიქტის მოგვარებაში მედიატორი ადვოკატი უკეთ დაეხმარებოდა. გ. და დ. ვ.-ების დადებით დამოკიდებულებას აღნიშნული ფაქტის მიმართ ადასტურებს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მათ მიერ დატოვებული კომენტარები და „მოწონებები“.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის მოქმედებდა კლიენტებთან შეთანხმებით და მათ მიერ გაცემული მინდობილობებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ფარგლებში და მისთვის გაურკვეველია რას ემსახურება გ. ვ.-ის საქციელი. ადვოკატმა განმარტა, რომ გ. ვ.-მ მას ბრალი დასდო, თითქოს ის მოქმედებდა ქ. ვ.-ის კარნახით, მითითებებით და სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა შეურაცხმყოფელი პოსტი მის მიმართ. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ გ. და დ. ვ.ები ხშირად არიან კონფლიქტურ მდგომარეობაში სხვა პირებთან, რაზეც არაერთხელ უსაუბრიათ ადვოკატთანაც.

2.6 ადვოკატმა ი. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებასა და საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე იშუამდგომლა მოწმე ი. ჯ.-ს გამოკითხვაზე, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ აღწერილ გარემოებებს. ადვოკატმა საპროცესო კოლეგიას განუმარტა, რომ ეთიკის კომისიის სხვა შემადგენლობა იხილავდა დ. ვ.-ის საჩივარს მის მიმართ და დროის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, იშუამდგომლა აღნიშნული დისციპლინური საქმეების გაერთიანებაზე.

3. მოწმის - ადვოკატ ი. ჯ.-ს /სიითი N/ განმარტება:

3.1 ადვოკატ ი. ბ.-ის შუამდგომლობის საფუძველზე, საპროცესო კოლეგიის მიერ, 2023 წლის 22 ნოემბერს მოწმის სტატუსით გამოიკითხა ადვოკატი ი. ჯ.. მოწმის განმარტებით, მას მეგობრული, კოლეგიალური დამოკიდებულება აქვს ადვოკატ ი. ბ.-ის მიმართ და ისინი ერთად იცავდნენ გ. და დ. ვ.-ების ინტერესებს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში. მოწმის განმარტებით, დები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ადვოკატების მიმართ და მათ მეორე დავაშიც სთხოვეს ადვოკატებს სამართლებრივი დახმარების გაწევა. აღნიშნული საქმე ეხებოდა სამოქალაქო დავას მათ დასთან - ქ. ვ.-სთან.

3.2 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის აპრილის თვეში, მან შეიცვალა საადვოკატო ოფისი და დები ვ.-ები ძირითადად ადვოკატ ი. ბ.-ს უკავშირდებოდნენ, მათ შორის ღამის საათებშიც და ადვოკატ ი. ბ.-ისაგან სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე იღებდნენ რჩევებს. ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის ივლისის თვეში, ის ჩაერთო გ. და დ. ვ.-ების კიდევ ერთ საქმეში, რომელიც მესამე დასთან მორიგებას ითვალისწინებდა, ქ. ბათუმში მდებარე უძრავი ქონების განკარგვაზე. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატთა ჩართულობით მხარეები ვერ მორიგდებოდნენ, დავა უნდა გაგრძელებულიყო საქალაქო სასამართლოში. ადვოკატმა განმარტა, რომ გ. და დ. ვ.-ებს კონფლიქტი ჰქონდათ მესამე დასთან - ქ. ვ.-სთან და არა ერთმანეთთან. მოწმის განცხადებით, მან გადაიტანა კოვიდი, რის გამოც ის აქტიურად არ მონაწილეობდა გ. და დ. ვ.-ების საქმეში და

ფლობს ინფორმაციას, რომ ი. ბ.-ის სამართლებრივი რჩევების გათვალისწინებით, გ. და დ. ვ.-ები მოურიგდნენ ქ. ვ.-მ, რაზეც ისინი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ადვოკატ ი. ჯ.-ს განმარტებით, დროის აღნიშნულ მონაკვეთში, მან მიაწოდა გ. და დ. ვ.-ებს ინფორმაცია, რომ ის მონაწილეობას მიიღებდა მხოლოდ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოებაში და არ აწარმოებდა გ. და დ. ვ.-ების სხვა საქმეს. ადვოკატის განმარტებით, მან შეიტყო, რომ გ. და დ. ვ.-ებს მის მიმართაც ჰქონდათ პრეტენზია იმ მოტივით, რომ ის, ისე ხშირად არ მიმართავდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს პროცესის ჩანიშვნაზე, როგორც ადვოკატი ი. ბ.. ადვოკატის განმარტებით, კლიენტები ხშირად ემუქრებოდნენ მას და ადვოკატ ი. ბ.-ს, რომ თუ აქტიურად არ მიმართავდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ისინი სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრად მომართავდნენ მათ მიმართ. ადვოკატის განმარტებით, მისთვის მოულოდნელი იყო, როცა შეიტყო, რომ გ. და დ. ვ.-ებმა საჩივრები წარმოადგინეს ადვოკატ ი. ბ.-ის მიმართ და არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული განმარტების შემდეგ, მის მიმართაც წარმოადგინონ საჩივარი. მინდობილობებთან დაკავშირებით, მოწმემ განმარტა, რომ მისთვის ასევე გაუგებარია მომჩივანთა პოზიცია, თუ რატომ უნდა მიეწოდებინათ ადვოკატებს მათთვის ინფორმაცია, რომ საჭირო იყო ცალკე ახალი მინდობილობები, მაშინ როდესაც მინდობილობები უკვე არსებობდა.

3.3 მოწმის განმარტებით, გ. ვ.-ის, დ. ვ.-ისა და ადვოკატ ი. ბ.-ს შორის არსებული კონფლიქტის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა დ. ვ.-ის „ფეისბუქ“ პოსტიდან, როდესაც დ. ვ.-მ გამოაქვეყნა შეურაცხმყოფელი პოსტი ადვოკატ ი. ბ.-ის მიმართ, რის შემდეგაც მიიღო მეილი, რომ გ. და დ. ვ.-ებმა გააუქმეს ადვოკატ ი. ბ.-ისათვის გაფორმებული მინდობილობა და ინფორმირების გარეშე, ახალი მინდობილობა გაუფორმეს ადვოკატ ი. ჯ.-ს. აღნიშნულ შეტყობინებას, ახლდა ადვოკატ ი. ბ.-სა და დებ ვ.-ებს შორის არსებული მიმოწერა. მოწმის განმარტებით, მან მიაწოდა გ. და დ. ვ.-ებს ინფორმაცია, რომ მინდობილობის გაფორმება იყო ცალმხრივი ნების გამოხატვა, მასთან შეუთანხმებლად, მისი პირადი ინფორმაციის გამოყენება და სამივე მხარესთან მოლაპარაკების გარეშე ის ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ კვლავ წარმოედგინა გ. და დ. ვ.-ების ინტერესები.

3.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ი. ბ. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა მის მოვალეობებს გ. და დ. ვ.-ების მიმართ. მოწმის განცხადებით, ის ფლობს ინფორმაციას, რომ გ. ვ.-მ ადვოკატ ი. ბ.-ს სთხოვა მისი და დ. ვ.-ის ინტერესები წარმოედგინა ადვოკატ ი. ჯ.-ს ჩართულობის გარეშე, რაც ადვოკატმა ი. ბ.-მ კონფიდენციალობის დაცვით, მისთვის გამჟღავნების გარეშე შეასრულა.

3.5 ადვოკატმა ი. ჯ.-მ განმარტა, რომ თავდაპირველად, დ., გ. და ქ. ვ.-ები ერთად მივიდნენ მათთან ოფისში და შეხვედრის პირველივე დღეს, გ. და დ. ვ.-ებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ადვოკატი ი. ბ. იყო ქ. ვ.-ის კოლეგა მედიატორი, რაც გაუხარდათ დებ ვ.-ებს და განაცხადეს, რომ მედიატორი ადვოკატი მეტად დაეხმარებოდათ. ამასთან, დ. ვ.-მ აღნიშნა, რომ ისიც გადიოდა მედიაციის ტრენინგებს. მოწმის განმარტებით, ადვოკატი ი. ბ. და ქ. ვ., როგორც მედიატორები, მონაწილეობდნენ ერთ-ერთ საქმეში, რაზეც ადვოკატმა ი. ბ.-მ მისი თანდასწრებით მიაწოდა გ. და დ. ვ.-ებს ინფორმაცია და დებს ამ ფაქტზე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ი. ბ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ბავშვთა უფლებები.

4.2 გ. ვ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 16 ოქტომბერს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4.4 საპროცესო კოლეგიამ განიხილა გ. ვ.-ის შუამდგომლობები და დააკმაყოფილა მომჩივანის შუამდგომლობა დისციპლინურ საქმეზე მის მიერ წარმოდგენილი დამატებითი მასალების დართვის თაობაზე. რაც შეეხება მომჩივანის შუამდგომლობას ადვოკატისათვის განსაზღვრული მოქმედებების დავალებაზე, აღნიშნული შუამდგომლობა საპროცესო კოლეგიის მიერ არ დაკმაყოფილდა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულების 17.1 მუხლის შესაბამისად.

4.5 საპროცესო კოლეგიამ განიხილა ადვოკატ ი. ბ.-ის შუამდგომლობები და დააკმაყოფილა ადვოკატ ი. ჯ.-ს მოწმის სტატუსით გამოკითხვის შუამდგომლობა. რაც შეეხება, ადვოკატის შუამდგომლობას დისციპლინურ საქმეთა გაერთიანებაზე, აღნიშნული შუამდგომლობა საპროცესო კოლეგიის მიერ არ დაკმაყოფილდა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულების 29-ე მუხლის შესაბამისად.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ი. ბ.-მ, ქ. ვ.-მ ელ. ფოსტაზე გაუგზავნა წერილი, სადაც მიუთითა, რომ ის წარმოადგენდა გ. და დ. ვ.-ების ადვოკატს, მაშინ როდესაც ის მხოლოდ გ. ვ.-ის ადვოკატი იყო და დ. ვ. ადვოკატს არ შეთანხმებია საადვოკატო მომსახურების გაწევაზე; ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ წარმოადგენდა ქ. ვ.-ის კოლეგას - მედიატორს.

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან

ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია... რაც დაკავშირებულია მის საქმესთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობაზე....“

6.3 საადვოკატო მომსახურების თაობაზე ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების მომენტიდან, ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კლიენტის საქმე აწარმოოს გულისხმიერად, რაც მოიცავს კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას და მჭიდრო კავშირშია ადვოკატის მიერ საკუთარი ვალდებულების კეთილსინდისიერ შესრულებასთან.....კლიენტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებელია, რომ ადვოკატისაგან კლიენტი ჯეროვნად იყოს ინფორმირებული საქმისწარმოებაზე და ფლობდეს ზუსტ და სწორ ინფორმაციას. ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. („სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის (შემდეგში - „ეთიკის კომისიის“) 27.10.2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N066/20, ეთიკის კომისიის, 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/10, 5.12, 5.13).

6.4 ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, როდესაც არ შეუძლია ერთგულად დაიცვას კლიენტის ინტერესები იმის გამო, რომ სხვა პირთა მიმართ აქვს ვალდებულებები. ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე იმისა, რომ კლიენტის წარმომადგენლობაზე არსებით და საწინააღმდეგო გავლენას იქონიებს ადვოკატის პირადი ინტერესები ან მოვალეობები სხვა არსებულ კლიენტთა, ყოფილ კლიენტთა ან მესამე პირთა მიმართ. ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მიზნად ისახავს, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები (ეთიკის კომისიის 18.02.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N164/18).

6.5 საჩივრის ავტორმა გ. ვ.-მ და ადვოკატმა ი. ბ.-მ განსხვავებული განმარტებები წარმოადგინეს შემდეგ ფაქტებზე: კერძოდ, ადვოკატის განმარტებით, მომჩივანს მისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, რომ ი. ბ. მხოლოდ მისი ადვოკატი უნდა ყოფილიყო. ამასთან, ადვოკატმა უარყო საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც კლიენტი ინფორმირებული არ იყო, რომ ადვოკატი ი. ბ. ახორციელებდა სამედიაციო საქმიანობას.

6.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლი). ამავდროულად, ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია.

„მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015).

6.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნაგანმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

6.8 მხარეთა მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ ი. ბ. წარმოადგენდა გ. ვ.-ის ადვოკატს. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი 2022 წლის 29 მარტის საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულებით დგინდება, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს უნდა დაეცვა გ. და დ. ვ.-ების ინტერესები ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში. 2022 წლის 19 ივლისის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით, კი ადვოკატი ი. ბ. წარმოადგენდა გ. ვ.-ისა და დ. ვ.-ის ადვოკატს ქ. ვ.-სთან არსებულ კონფლიქტში და ადვოკატს ევალებოდა შეთანხმების აქტის მომზადება საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმომადგენლობა. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, მხარეებს შორის, 03.08.2022 წელს გაფორმდა შეთანხმების აქტი, რომელიც დაიდო 1 წლის ვადით და მხარეები არ გამორიცხავდნენ მასში ცვლილებების შეტანასა და შეთანხმების დარღვევისას პასუხისმგებლობას (მუხლი 2 და 4), რაც კავშირშია ხელშეკრულების საგანთან. ხელშეკრულებები, ისევე როგორც მორიგების აქტი, ხელმოწერილია გ. და დ. ვ.-ების მიერ. ამავდროულად, გ. და დ. ვ.-ების მიერ ადვოკატ ი. ბ.-ის მიმართ 05.04.2022 წელს, სანოტარო წესით გაფორმებულია მინდობილობები: N და N. მინდობილობები ძალაშია 2025 წლის 5 აპრილის ჩათვლით და ითვალისწინებს ადვოკატის უფლებამოსილებას, კლიენტების ინტერესები წარმოადგინოს სხვადასხვა უწყებებში, მათ შორის, სასამართლოში და კლიენტების სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები. ხელშეკრულებები, ისევე როგორც მინდობილობები და შეთანხმების აქტი, ხელმოწერილია როგორც გ. ვ.-ის, ისე დ. ვ.-ის მიერ. შესაბამისად, დგინდება, რომ ადვოკატი ი. ბ. წარმოადგენდა გ. და დ. ვ.-ების ადვოკატს, რაზეც ორივე და ინფორმირებული იყო და მათი ხელმოწერები ადასტურებს მათსავე ნებას, ადვოკატს წარმოედგინა მათი ინტერესები. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ გ. ვ. ფლობდა ინფორმაციას, რომ ადვოკატი ი. ბ. წარმოადგენდა როგორც მის, ასევე მისი დის ადვოკატს და შესაბამისად, მისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ადვოკატი ორივე კლიენტის სახელით განახორციელებდა სამართლებრივ მოქმედებებს. ამავდროულად, საჩივრის ავტორის მიერ, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ მასსა და დ.

ვ.-ს შორის წარმოიშვა რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი. ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, ადვოკატი ვერც ერთ დას გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას, რაც გ. ვ.-სთან მიმოწერის მიხედვით, ადვოკატმა განუმარტა კიდეც საჩივრის ავტორს. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატი ი. ბ. მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. თავის მხრივ, მომჩივანს, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დააკმაყოფილებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ ადვოკატ ი. ბ.-სა და გ. ვ.-ს შორის არსებობდა შეთანხმება, უკვე არსებულისაგან განსხვავებული პირობებით.

6.9 საპროცესო კოლეგიამ დამატებით შეაფასა მომჩივანის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა არც 2022 და არც 2023 წლებში, ინფორმაცია არ მიაწოდა მას მინდობილობების აუცილებლობაზე. კოლეგიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატს 2022 წელს გაუფორმა მინდობილობა, გამორიცხავს ადვოკატის მიერ მომჩივანისათვის მინდობილობის აუცილებლობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობას.

6.10 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე მსჯელობისას, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა ინფორმაცია არ მიაწოდა გ. ვ.-ს, რომ ის წარმოადგენდა ქ. ვ.-ის კოლეგას - მედიატორს, საპროცესო კოლეგიამ გაითვალისწინა ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ, ადვოკატ ირაკლი ყანდაშვილის „ფეისბუქ“ პოსტის ე. წ. „სქრინი“, სადაც ის ადვოკატ ი. ბ.-ს სამედიაციო პროცესის შეთანხმებით დასრულებას ულოცავს. აღნიშნულ პოსტზე დ. ვ.-მ მონიშნა ადვოკატები: ი. ჯ., ი. ბ. და გ. ვ. და დააკომენტარა შემდეგი ტექსტი: „ჯ. ი., I. B., ნამდვილად ჭკვიანი და კომპეტენტური ადვოკატები ხართ და იმიტომ შეგარჩიეთ ადვოკატებად მე და G. V., ხომ იცით კლიენტი ყოველთვის სიმართლეს ამბობს“. აღნიშნული პოსტი ადასტურებს, რომ მომჩივანისათვის ცნობილი იყო ადვოკატის სამედიატორო საქმიანობის შესახებ. ეს გარემოება საპროცესო კოლეგიას დაუდასტურა მოწმემ - ადვოკატმა ი. ჯ.-მაც, რომელმაც კოლეგიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატი ი. ბ. გ. ვ.-ს მედიაციაზე ინფორმაციას მისი თანდასწრებით აწვდიდა. თავად საჩივრის ავტორს, გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა, რომ ადვოკატმა მას ინფორმაცია არ მიაწოდა.

6.11 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა ი. ბ.-მ იმოქმედა დ. ვ.-სთან შეუთანხმებლად. კოლეგია განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 6.1(ა) მუხლის მიხედვით, „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები“. მოცემულ შემთხვევაში, გ. ვ. უთითებს არა საკუთარი, არამედ დ. ვ.-ის ინტერესების დარღვევაზე. აღნიშნულ პრეტენზიაზე უფლებამოსილი განმცხადებელია დ. ვ.. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის აღნიშნულ პრეტენზიას არსებითად არ განიხილავს დებულების 6.1(ა) და 9.1(გ) მუხლების საფუძველზე.

6.12 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N088/23 ადვოკატ ი. ბ.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/